



ბრძანება № 1-28

გორი

13 05 2026წ.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და შიდა ქართლის სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის - „იპოვე შენი მომავალი ჩვენთან“ - ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-15 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 15 აპრილის N09-34 დადგენილების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (30.04.2026. N507624) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და შიდა ქართლის სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის - „იპოვე შენი მომავალი ჩვენთან“ - ჩატარების დებულება დანართის შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.
3. უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი



ალექსანდრე მღებრიშვილი

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და შიდა ქართლის სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის -
„იპოვე შენი მომავალი ჩვენთან“ - ჩატარების დებულება

1. აღნიშნული დებულება განსაზღვრავს სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა და შიდა ქართლის სკოლების საშუალო საფეხურის (X, XI და XII კლასები) მოსწავლეთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის - „იპოვე შენი მომავალი ჩვენთან“ - (შემდგომში - კონფერენცია) ჩატარების წესს;
2. კონფერენციის ორგანიზებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად;
3. კონფერენცია ტარდება შემდეგი სექციების მიხედვით:
 - ა) ისტორია (მსოფლიო ისტორია, საქართველოს ისტორია);
 - ბ) ქართული ენა და ლიტერატურა;
 - გ) უცხოური ენა და ლიტერატურა;
 - დ) ბუნებისმეტყველება;
 - ე) მათემატიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები;
 - ვ) სპორტი.
4. კონფერენციაში მონაწილეობის უფლება აქვთ უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტებს, მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებსა და შიდა ქართლის საჯარო და კერძო სკოლების საშუალო საფეხურის - X, XI და XII კლასების მოსწავლეებს, აგრეთვე შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ საქართველოს სხვა სკოლების საშუალო საფეხურის მოსწავლეებს;
5. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველს შეუძლია წარმოადგინოს ინდივიდუალური ან თანაავტორობით შესრულებული (არაუმეტეს 2 თანაავტორისა) მხოლოდ ერთი ნაშრომი;
6. სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენელი ან მოწვეული სპეციალისტი, ხოლო მოსწავლის სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სკოლის პედაგოგი ან/და უნივერსიტეტის აკადემიური/მასწავლებელთა პერსონალის წარმომადგენელი ან მოწვეული სპეციალისტი;
7. კონფერენციაზე სექციურ მუშაობას უხელმძღვანელებს სექციის ხელმძღვანელი, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი თავისი განკარგულებით;
8. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა 2026 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე goriuniversityconference@gmail.com უნდა წარმოადგინონ:
 - ა) პირადობის/დაბადების დამადასტურებელი მოწმობა სკანირებული სახით;
 - ბ) პირადი მონაცემების (აპლიკაციის) შევსებული ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად;
 - გ) სამეცნიერო ნაშრომის თეზისი.

9. საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის თეზისი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული სახით შემდეგი მოთხოვნების დაცვით: თეზისი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ ან უცხოურ (ინგლისურ, გერმანულ ან რუსულ) ენაზე Microsoft Word-ის დოკუმენტის სახით; სავალდებულოა Sylfaen შრიფტის გამოყენება; შრიფტის ზომა 11 (გარდა სათაურისა, შრიფტის ზომა სათაურისთვის 12), ინტერვალი 1,5; გვერდის პარამეტრები: დაშორება ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან, მარცხნიდან 2 სმ.; თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს A4 ფორმატის 1 ნაბეჭდ გვერდს;

10. კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს/პროფესორულ სტუდენტებს/მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტთან) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებსა და მოსწავლეებს გადაეცემათ სათანადო სიგელები;

11. კონფერენცია ჩატარდება 2026 წლის 10 ნოემბერს.

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა და შიდა ქართლის სკოლების
საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია -
„იპოვე შენი მომავალი ჩვენთან“

10 ნოემბერი, 2026 წელი

აპლიკაციის ფორმა

სტუდენტ(ებ)ის/პროფესიული სტუდენტ(ებ)ის/მასწავლებლის მომზადების
პროგრამაზე ჩარიცხული პირ(ებ)ის, მოსწავლ(ებ)ის გვარი, სახელი:

მისამართი:

ტელეფონის ნომერი: მობილური: სახლი:

ელ-ფოსტის მისამართი:

უმაღლესი სასწავლებლის/სკოლის დასახელება:

პროგრამა: საბაკალავრო სამაგისტრო პროფესიული მასწავლებლის მომზადების

სწავლების წელი: პირველი მეორე მესამე მეოთხე

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

კლასი: X XI XII

ნაშრომის სათაური:

სექციის დასახელება:
 ისტორია (მსოფლიო ისტორია, საქართველოს ისტორია)
 ქართული ენა და ლიტერატურა
 უცხოური ენა და ლიტერატურა
 ბუნებისმეტყველება
 მათემატიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები
 სპორტი

ხელმძღვანელის გვარი, სახელი, თანამდებობა: